ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე

გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ლ. წ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.08.2013

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 105/13

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ნ. გ. /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. გ. – სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

   1.1. 2013 წლის 20 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. წ. – მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. გ. – სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან 2013 წლის 04 ივლისს, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა იურიდიულ ფირმასთან „...“. ფირმა, მისი წარმომადგენლების, ნ. გ. – სა და მისი კოლეგის მეშვეობით, ვალდებული იყო ეწარმოებინა ლ. წ. – ის საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში და დაეცვა კლიენტის უფლებები იპოთეკის ხელშეკრულებასა და გამოსახლებასთან დაკავშირებით. ლ. წ. – მ ჰონორარის სახით პირველ ეტაპზე გადაიხადა 1260 (ათას ორას სამოცი) ლარი, ხოლო 740 (შვიდას ორმოცი) ლარი უნდა გადაეხადა შეთანხმებულ ვადაში.

1.3. საჩივრის ავტორის განმარტებით, „... – მ“ არ შეასრულა შეთანხმებული ვალდებულებები. კერძოდ, ხელშეკრულებაში არ აღინიშნა, რომ გამოსახლების საკითხი უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ხოლო იპოთეკის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით საქმის წარმოება იურიდიულმა ფირმამ არ უზრუნველყო. ადვოკატებს არ განუხორციელებიათ აუცილებელი იურიდიული მოქმედებები. აღნიშნულის შედეგად, საჩივრის ავტორი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და იძულებული გახდა მიემართა სხვა ადვოკატებისათვის. იურიდიულ ფირმას არ განუხორციელებია არანაირი სამართლებრივი ქმედება, თუმცა, მიუხედავად ამისა, „...“ ითხოვდა ჰონორარის გადახდას. ადვოკატებთან დაკავშირებაში დახმარების გაწევაზე ლ. წ. – ს უარს ეუბნებოდა იურიდიული ფირმის ხელმძღვანელიც.-

1.4. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ნ. გ. – მა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. კერძოდ, მას არ გამოუწერია ორდერი, არ მიუღია მონაწილეობა არც ერთ საპროცესო მოქმედებაში, არ შეუდგენია საჩივარი ან შუამდგომლობა, არ დასწრებია საჩივრის ავტორის დაკითხვას, არ გაუსაჩივრებია კლიენტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შესახებ გაფრთხილება და არ უწარმოებია საქმე სასამართლოში. აღნიშნული ქმედებების შედეგად, ლ. წ. დარჩა დაცვის უფლების გარეშე და დაკარგა დრო. რწმუნებულების გაფორმების მიუხედავად, იურიდიული ფირმის “...” ადვოკატი ნ. გ. არ იცავდა საჩივრის ავტორის ინტერესებს.

1.5. 2013 წლის 17 სექტემბერს წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მისთვის არ იყო ცნობილი იურიდიული ფირმის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი სარჩელის ასლის არსებობის შესახებ. ლ. წ. – ის განმარტებით, იგი არ იყო ინფორმირებული „... – ის“ მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების შესახებ. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი წერილობითი ახსნა-განმარტებით „...“ ადასტურებს, რომ არ ჰქონდა საჩივრის ავტორთან უშუალო კონტაქტი გარკვეული მიზეზების გამო.

1.6. 2013 წლის 18 სექტემბრის ახსნა-განმარტებაში ლ. წ. უთითებს, რომ დაირღვა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების მუხლები. კერძოდ, ხელშეკრულების

3.1.4 მუხლის მიხედვით, შეთანხმებული იყო ჰონორარის ეტაპობრივად გადახდა, შესაბამისად, ადვოკატი ვალდებული იყო დაეცვა კლიენტის ინტერესები, ჰონორარის სრულად გადახდამდე. ნ. გ. – მა ეს ვალდებულება არ შეასრულა. ასევე, ეჭვქვეშ დადგა ხელშეკრულების 3.1.5 მუხლით გათვალისწინებული ნდობის პრინციპი, ვინაიდან „... – მ“ იურიდიულად გაუმართავი განცხადებებით მიმართა პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, იურიდიულ ფირმაში არ პასუხობდნენ საჩივრის ავტორის ზარებს.

1.7. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ნ. გ. – მა განაცხადა, რომ სისხლის სამართალში სათანადოდ ვერ ერკვეოდა და პოლიციაში წარმომადგენლად არ გამოადგებოდა ლ. წ. – ს. ასევე, პრობლემური იყო ადვოკატთან დაკავშირების საკითხიც. აღნიშნულის გამო, საჩივრის ავტორი დაცვის უფლების გარეშე დარჩა. შესაბამისად, ლ. წ. – ის ინტერესები არ განიხილებოდა, როგორც კლიენტის უპირატესი ინტერესი, რითაც დაირღვა ხელშეკრულების 3.1.6. მუხლი.

1.8. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მას არ აძლევდა კვალიფიციურ რჩევებს კანონმდებლობის არასათანადო ცოდნის მიზეზით და, ასევე, კლიენტს დროულად არ მიეწოდებოდა ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით. იურიდიულმა ფირმამ არ გამოიყენა ყველა არსებული საშუალება ლ. წ. – ის ინტერესების დასაცავად. ამის გამო, დაირღვა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების 3.1.7 და 3.1.12 და 3.1.13. მუხლები.

1.9. საჩივრის ავტორის განცხადებით, „... – მ“ არ შეასრულა საკუთარი მოვალეობები, შესაბამისად, ხელშეკრულების 4.4 მუხლის მიხედვით, „... – მ“ უნდა დაუბრუნოს მას ჰონორარის თანხა. ლ. წ. – მ ხელშეკრულების 5.4. მუხლის შესაბამისად, სიტყვიერად და წერილობით აცნობა იურიდიულ ფირმას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, ვინაიდან აღარ სურდა მისი იურიდიული მომსახურება. ასევე, საჩივრის ავტორის განმარტებით, მისთვის არ იყო ცნობილი რისკის შესახებ, კერძოდ, ის, რომ საქმის მისთვის არასასურველი შედეგით დასრულებაც შეიძლება მომხდარიყო.

1.10. მეოთხე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენენელმა განაცხადა, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში მისი გაფორმების თარიღი არასწორად არის აღნიშნული, ვინაიდან იგი გაფორმდა 2013 წლის 04 ივლისს, ხოლო ხელშეკრულებაში გაფორმების თარიღად მითითებულია 2012 წლის 21 აგვისტო. ასევე, საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, ხელშეკრულების 3.2.10. მუხლის მიხედვით, კლიენტს არ აქვს უფლება „... – სთან“ შეუთანხმებლად ხელშეკრულება გააფორმოს სხვა ადვოკატთან, რაც ზღუდავს კონსტიტუციით გარანტირებულ დაცვის უფლებას.

1.11. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ხელშეკრულების მიხედვით, ურთიერთობის შეწყვეტის უფლებამოსილება მხოლოდ იურიდიულ ფირმას მიენიჭა და, ასევე, არ მომხდარა ხელშეკრულების დასაბუთებულად შეწყვეტა. ასევე,

საჩივრის ავტორის ინტერესების წარმომადგენლობისათვის აუცილებელი იყო როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატის მომსახურება, ნ. გ. კი იყო მხოლოდ სამოქალაქო სპეციალიზაციის ადვოკატი. საჩივრის ავტორის განმარტებით, წერილობით ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მიუხედავად, იგი ზეპირად შეუთანხმდა იურიდიული ფირმის „...“ დირექტორის თანხის გადახდის განსხვავებულ წესზე.

1.12. საჩივრის ავტორის განმარტებით, არასწორია ადვოკატის მითითება სარჩელის 2013 წლის 11 ივლისს მომზადებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ეთიკის კომისიაში თავად ადვოკატის მიერ წარმოდგენილ სარჩელში შევსების თარიღად მითითებულია 2013 წლის 01 აგვისტო. ამასთანავე, როდესაც, ლ. წ. – მ ნ. გ. – ს სთხოვა ეჩვენებინა მისთვის სარჩელი გაცნობის მიზნით, ადვოკატმა ვერ იპოვა, თუ სად დატოვა სარჩელი მისმა კოლეგამ შვებულებაში გასვლის წინ.

1.13. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, ნ. გ. კვალიფიციურად არ იცნობდა საქმეს, რასაც ადასტურებს ეთიკის კომისიის მესამე კოლეგიის 2013 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება ნ. გ. – ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ, კერძოდ გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასების ნაწილის 5.13 პუნქტი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1. “... – მ“ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2013 წლის 30 აგვისტოს. ეთიკის კომისია აზუსტებს, რომ ახსნა-განმარტება იურიდიული ფირმის სატიტულო ფურცელზეა წარმოდგენილი და გადმოცემულია მესამე პირში, თუმცა, ვინაიდან ახსნა - განმარტებას საკუთარი ხელმოწერით ადასტურებენ ადვოკატი ნ. გ. და მისი კოლეგა, კომისია ადვოკატების პოზიციად განიხილავს მას.

2.2. ნ. გ.ს განცხადებით, 2013 წლის 04 ივლისს ლ. წ.მ კონსულტაციისათვის მიმართა იურიდიულ ფირმას - „...“. რის შედეგადაც გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება და გადახდილი იქნა იურიდიული მომსახურების შეთანხმებული საფასურის 2000 (ორი ათასი) ლარის ნაწილი - 460 (ოთას სამოცი) ლარი. ხელშეკრულების თანახმად, დარჩენილი თანხა ლ. წ. – ს უნდა გადაეხადა 2013 წლის 11 ივლისს. ხელშეკრულებით განისაზღვრა იურიდიული მომსახურების სახე და ფარგლები - იურიდიულ ფირმას უნდა ეწარმოებინა ლ. წ. – ის საქმე სასამართლოში, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენებით 10 000 (ათი ათასი) დოლარის დაბრუნებასთან დაკავშირებით. 2013 წლის 05 ივლისს “...” ორ ადვოკატზე- თავად ნ. გ. – სა და მის კოლეგაზე, ლ. წ. – მ გასცა რწმუნებულებები სანოტარო წესით.

2.3. ნ. გ. – ს განმარტებით, რწმუნებულების გაფორმების შემდეგ, საჩივრის ავტორის პროცესუალურ მოწინააღმდეგეებს გაეგზავნათ გაფრთხილების წერილები და

დაბარებული იქნენ მოლაპარაკებისათვის იურიდიული ფირმის ოფისში. ასევე, კლიენტს ეცნობა, რომ 2013 წლის 11 ივლისს ჰონორარის დარჩენილ ნაწილთან ერთად, მას ადვოკატთან უნდა წარმოედგინა სახელმწიფო ბაჟის თანხაც, რადგან სარჩელი მზად იქნებოდა. მიუხედავად გაფრთხილებისა, საჩივრის ავტორმა 2013 წლის 11 ივლისს გადაიხადა მხოლოდ 800 (რვაასი) ლარი, ხოლო მომსახურების დარჩენილი საფასური და ბაჟის თანხა კლიენტმა ნ. გ. – სთან არ წარმოადგინა.

2.4. ნ. გ. – ს განცხადებით, საჩივრის ავტორის თხოვნის საფუძველზე, იურიდიული ფირმის ხელმძღვანელმა დაავალა მას და მის კოლეგას დახმარებოდნენ ლ. წ. – ს სისხლის სამართლის საქმის აღძვრაში მისი პროცესუალური მოწინააღმდეგეების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მომსახურება იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული. ადვოკატებმა გამოკითხეს ის პირები, რომლებიც ესწრებოდნენ მათ კლიენტსა და მის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას. კლიენტის პრეტენზია პროცესუალური მოწინააღმდეგისადმი სწორედ აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობას ეხება, რაც სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველი გახდა. მოწმეთა გამოკითხვის შედეგად ადვოკატებმა მიიჩნიეს, რომ არსებობდა გონივრულ ეჭვს მიღმა ვარაუდის საფუძველი, მათი კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგისა და სხვა რამდენიმე პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ადვოკატებმა მოამზადეს და გენერალურ პროკურატურაში გაიგზავნა განცხადება ლ. წ. – ის სახელით აღნიშნული ქმედების შესახებ.

2.5. ნ. გ. – ს განმარტებით, 2013 წლის 26 ივლისს მის კოლეგას - მეორე ადვოკატს გარდაეცვალა ბებია, რის გამოც იგი იძულებული გახდა ქალაქი დაეტოვებინა. ლ. წ. – ის ინტერესების დაცვა განაგრძო ნ. გ. – მა. ადვოკატმა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოითხოვა და ჩაიბარა კლიენტის საქმისათვის საჭირო მასალები. იგი ყოველდღიურად ტელეფონით ეკონტაქტებოდა კლიენტს და სთხოვდა სახელმწიფო ბაჟის თანხის გადახდას. ლ. წ. – მ არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი.

2.6. ნ. გ. - ს განცხადებით, ლ. წ. - ს რუსთავის პირველი განყოფილების გამომძიებელმა შეატყობინა, რომ დაბარებული იყო გამოკითხვაზე. ადვოკატი ყოველდღე იბარებდა კლიენტს გამოკითხვაზე წასასვლელად, თუმცა, იგი, სხვადასხვა მიზეზების მითითებით, თავს არიდებდა წასვლას. როგორც შემდეგ გაირკვა, ლ. წ. მარტო იმყოფებოდა გამოკითხვაზე. აღნიშნული ქმედების შემდეგ, იურიდიულმა ფირმამ მიიღო ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილება კლიენტის მიერ გამოჩენილი უნდობლობისა და თანხის გადაუხდელობის გამო. ლ. წ. – ის მიერ უკვე გადახდილი თანხა ჩაითვალა გაწეული მომსახურების ანგარიშში.

2.7. ადვოკატის განმარტებით, ლ. წ. – ის საქმე წარმოადგენდა სამოქალაქო დავას, შესაბამისად, არ არსებობდა ორდერის გამოწერის საჭიროება. ასევე, საჩივრის ავტორი არ უთითებს კონკრეტულ ფაქტებს, თუ რაში გამოიხატება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა.

2.8. მეოთხე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა ხელშეკრულების ის ეგზემპლარი, სადაც თარიღი და მომსახურების საგანი სწორად იყო მითითებული და მისთვის უცნობია თუ რატომ აღმოჩნდა ლ. წ.სთან ხელშეკრულება, სადაც ტექნიკური შეცდომაა დაფიქსირებული. ასევე, მისი განცხადებით, იგი არ არის სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი და მხოლოდ გამოუვალი ვითარების - მისი კოლეგის შვებულებაში გასვლის მიზეზით ჩაერთო საქმეში, თუმცა, როგორც მისმა კოლეგამ განუცხადა, მხოლოდ სარჩელის სასამართლოში შეტანა იყო საჭირო, რისთვისაც საკმარისი იყო სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია. ნ. გ. აღნიშნავს, რომ ლ. წ. – ის საქმის წარმმართველი ადვოკატი იყო მისი კოლეგა, ხოლო თავად საქმეში ჩაერთვებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე ადვოკატი ვერ შეძლებდა საქმის გაგრძელებას.

2.9. ადვოკატის განმარტებით, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებაში მომსახურების საგნად მითითებული იყო სასამართლო დავის წარმოება კონკრეტული პიროვნების წინააღმდეგ. ეს მოიცავდა მხოლოდ სამოქალაქო წარმოებას, შესაბამისად ლ. წ. – ისათვის დამატებითი განმარტების გაკეთება მის სპეციალობასთან დაკავშირებით საჭირო არ იყო. რაც შეეხება სარჩელის თარიღს, ადვოკატი უთითებს, რომ არსებობდა მისი ელექტორნული ვერსია და თარიღი დროის გასვლასთან ერთად შესაბამისად შეიცვალა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1. 2013 წლის 18 ნოემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. გ. – ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების 3.2.10. მუხლი არღვევს კლიენტის დაცვის უფლებას, ადვოკატ ნ. გ. – ს მხრიდან შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

3.3. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების მიხედვით წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები იყვნენ ადვოკატი ნ. გ. და მისი კოლეგა. ისინი ამ ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებდნენ ლ. წ. – ის ინტერესების დაცვას, შესაბამისად, პროფესიული კეთილსინდისიერების სტანდარტი მათ ავალდებულებდა დაინტერესებულიყვნენ, თუ როგორ რეგულირდება ურთიერთობა მათსა და კლიენტს შორის. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ

ნებისმიერ პირს უნდა ჰქონდეს უფლება მიმართოს ნებისმიერ ადვოკატს მისი ინტერესების დაცვისათვის, კონსულტაციისათვის და ა.შ. ასევე, პირი არ არის შეზღუდული იმ საკითხშიც, თუ რამდენ ადვოკატს მიმართავს საკუთარი ინტერესების დასაცავად. საჩივრის ავტორსა და იურიდიულ ფირმას შორის გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების 3.2.10. მუხლის დანაწესი შეიძლება ჩაითვალოს ლ. წ. – ის დაცვის უფლების დარღვევად.

3.4. იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი ნ. გ., რომელიც სპეციალიზაციით სამოქალაქო სამართლის ადვოკატია წარმოადგენდა საჩივრის ავტორის ინტერესებს იმ დროს, როდესაც ლ. წ. – ს სავარაუდოდ, ესაჭიროებოდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატის დახმარება, ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

3.5. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე კვალიფიკაციის არქონისას, არსებობს საფრთხე, რომ კლიენტი არ იქნება სათანადოდ წარმოდგენილი, რაც კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის პროფესიული ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის ახსნა-განმარტებით, სავარაუდოდ დასტურდებოდა, რომ საჩივრის ავტორს ესაჭიროებოდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატის დახმარება, როდესაც სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი ნ. გ. მარტო ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას.

3.6. ასევე, სავარაუდოდ, გარკვეული პრობლემები არსებობდა კლიენტის საქმის ერთი ადვოკატიდან მეორე ადვოკატისათვის გადაბარების საკითხთან დაკავშირებით. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, ადვოკატი ნ. გ. უთითებს, რომ მან ზუსტად არ იცის, რასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა სასამართლოში დავა ლ. წ. – ის საქმეზე, მიუხედავად იმისა, რომ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი სარჩელის ხელმოწერის გრაფაში თავად არის მითითებული, ასევე, ლ. წ. - ს ესაჭიროებოდა გარკვეული დახმარება, კერძოდ, საქმის გამომძიებლის ტელეფონის ნომრის მოძიება, თუმცა, იგი არ აწარმოებდა საქმეს და ვერ დაეხმარებოდა საჩივრის ავტორს. ასევე, მას არ ჰქონდა ზუსტი ინფორმაცია ლ. წ. – ის გამოსახლების საკითხის შესახებ.

3.7. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი ნ. გ. საჩივრის ავტორს არ აწვდიდა ინფორმაციას განხორციელებული საპროცესო ქმედებების და საქმის მიმდინარეობის შესახებ, შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი.

3.8. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადვოკატს საქმის წარმოებისას კლიენტისათვის უნდა მიაწოდებინა ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის

პროცესში. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ, შესაძლოა, ადვოკატ ნ. გ. – სა და ლ. წ. – ს შორის არსებობდა კომუნიკაციის პრობლემა. სავარაუდოდ, საჩივრის ავტორს არ ჰქონდა ინფორმაცია სარჩელის მომზადების დროის შესახებ.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1. ადვოკატი ნ. გ. წარმოადგენდა ლ. წ. – ის ინტერესებს მისი სახელშეკრულებო კონტრაჰენტის მიმართ წარმოებულ დავაში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. რწმუნებულება, ს.ფ. 13-15
2. „...“ გაგზავნილი წერილები, ს.ფ 26-28

4.1.2 საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებას იურიდიული ფირმის „...“ სახელით ხელს აწერს კომპანიის მენეჯერი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების თაობაზე, ს.ფ. 11-12

4.2. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებებია:

4.2.1. საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით შეიზღუდა ლ. წ. – ის დაცვის უფლების გარანტირებულობა.

განხილვის კოლეგიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ნ. გ. – ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

ა) საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების 3.2.10. მუხლი, რომლის თანახმადაც „კლიენტი ვალდებულია, „... – სთან“ შეუთანხმებლად არ აიყვანოს სხვა ადვოკატი. სხვა ადვოკატისა თუ კონსულტანტის აყვანის შემთხვევაში, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ... – ს.“

ბ) ადვოკატს განცხადებით, მას ლ. წ. – ის ინტერესების წარმომადგენლობის განხორციელებისას არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმები.

გ) განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების 3.2.10. მუხლი არ არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნას დაცვის უფლების გარანტირებულობის შესახებ და არ ზღუდავს ლ. წ. – ის კანონიერ უფლებას დაცვის უფლების განსახორციელებლად, საკუთარი უფლების დასაცავად მიმართოს სხვა ადვოკატს.
ასევე, განხილვის კოლეგიის მოსაზრებით, აღნიშნული ხელშეკრულება მხოლოდ ავალდებულებს ლ. წ. - ს სხვა ადვოკატის აყვანის შემთხვევაში აცნობოს ან შეუთანხმოს „... – ს“. გარდა ამისა, კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმებულია იურიდიულ კომპანიასთან და მას ხელს არ აწერენ ადვოკატები, ხოლზე ადვოკატებზე გაცემულ რწმუნებულებაში სხვა ადვოკატის აყვანის არანაირი საკითხი არ არის მითითებული და კონკრეტულად ნ. გ. – ს მიერ, ლ. წ. – ის ინტერესები სხვა ადვოკატის აყვანასთან დაკავშირებით არ დარღვეულა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. რწმუნებულება, ს.ფ. 13-15
2. ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების თაობაზე, ს.ფ. 11-12

4.2.2. ერთი ადვოკატიდან მეორე ადვოკატისათვის ლ. წ. – ის საქმის გადაბარება არ მოხდა სრულყოფილად.

განხილვის კოლეგიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ნ. გ. – ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

ა) საჩივრის ავტორის განმარტებით, ნ. გ. - მა, მისი კოლეგის შვებულებაში გასვლის შემდეგ, არ გაუწია კვალიფიციური და სრულყოფილი წარმომადგენლობა და მიზეზად განსაზღვრულ საკითხებში არაკვალიფიციურობა დაასახელა. ლ. წ. – ის განცხადებით, ნ. გ. – ს, ასევე, არ ჰქონდა სრული ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის შესახებ.

ბ) ადვოკატის განცხადებით, კლიენტი გასაუბრებას გადის დირექტორთან, რის შემდეგაც კლიენტს ხვდება მის საქმეზე პასუხისმგებელი ადვოკატი. მოცემულ შემთხვევაში, ეს იყო ნ. გ. – ს კოლეგა. იგი აწარმოებდა და მართავდა საქმეს, ადგენდა შესაბამის დოკუმენტებს. ადვოკატის განმარტებით, იგი საქმეში ჩაერთო მხოლოდ გამოუვალი მდგომარეობის - კოლეგის ბებიის გარდაცვალების გამო. ნ. გ. აღნიშნავს, რომ მისი კოლეგის განცხადებით, ლ. წ. – ს უნდა მოეტანა სახელმწიფო ბაჟის თანხა და შემდეგ უნდა შეეტანა სარჩელი.

გ) განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ვინაიდან საჩივრის ავტორის საქმის ძირითადი წარმმართველი იყო ნ. გ. – ს კოლეგა და, შესაბამისად, მას დასჭირდა ნ. გ. – სათვის საქმის გადაბარება, გადაბარებასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნ. გ. პასუხს ვერ აგებს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომის ოქმი, ს.ფ. 96-105

4.2.3. ადვოკატი დროულად არ აწვდიდა საჩივრის ავტორს - კლიენტს საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციას.

განხილვის კოლეგიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ნ. გ. – ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

ა) საჩივრის ავტორის განცხადებით, მას დროუალდ არ მიეწოდებოდა ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის შესახებ.

ბ) ადვოკატის განმარტებით, კლიენტმა იცოდა სარჩელის თაობაზე. ასევე, იცოდა, რომ სანამ სრულად არ გადაიხდიდა სახელმწიფო ბაჟის თანხას, სასამართლო არ მიიღებდა სარჩელს.

გ) განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ არ დადგინდა ადვოკატ ნ. გ. – ს მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის დარღვევა. კლიენტმა ადვოკატს მიუტანა სახელწმიფო ბაჟის თანხის ნაწილი, 400 ლარი, მაგრამ ადვოკატმა განუმარტა, რომ ვიდრე სრულად არ იქნებოდა თანხა გადახდილი, სასამართლო სარჩელს წარმოებაში არ

მიიღებდა. აღნიშნულით დასტურდება, რომ ადვოკატმა კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია განსახორციელებ საპროცესო მოქმედებასთან დაკავშირებით.

სარჩელის მომზადების თარიღთან დაკავშირებით, კოლეგია იზიარებს მოსაზრებას, რომ სარჩელი შედგენილია არა 2013 წლის 01 აგვისტოს, არამედ უფრო ადრე, 2013 წლის 11 ივლისისათვის, ვინაიდან კლიენტს ამ დღისათვის უნდა წარმოედგინა სახელწმიფო ბაჟის თანხა და ერთად უნდა შეეტანათ სარჩელი. დადგენილია, რომ 11 ივლისს ლ. წ. - მ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟის მხოლოდ ნაწილი და 11 ივლისს სარჩელი იმიტომ არ იქნა შეტანილი, რომ ბაჟი სრულად არ იქნა გადახდილი. ხოლო რაც შეეხება სარჩელის შევსების დღედ მითითებულ თარიღს, 2013 წლის 01 აგვისტოს, კოლეგია იზიარებს ადვოკატის განმარტებას, რომ სარჩელი იყო ელექტრონული ვერსია და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შეიცვალა.

ვინაიდან დადგენილია, რომ სარჩელი სასამართლოში არ იქნა წარდგენილი ბაჟის სრული თანხის არქონის გამო და ბაჟს სრული თანხა კლიენტს ჰქონდა მოგვიანებით, სარჩელის შეტანის ვადაც გადაიწევდა და მისი შევსების თარიღის (სასამართლოში წარდგენის) თარიღი გადაიწეოდა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომის ოქმი, ს.ფ. 96-105

5. **შემაჯამებელი დასკვნა:**

   საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. გ. – ს მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

6. **სამართლებრივი შეფასება:**

   6.1. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. გ. – ს მიერ არ არის დარღვეული შემდეგი ნორმები:

   6.1.1. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი: „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

   6.1.2. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია: კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.“

6.1.3. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მეხუთე ნაწილი: ”ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

6.1.4. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

6.1.5. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

6.2. ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა განახორციელოს კანონით განსაზღვრული საშუალებების გამოყენებით და მიზნად არ უნდა დაისახოს კლიენტისათვის სასურველი შედეგის მიღწევა არაკანონიერი საშუალებების გამოყენების გზით, კლიენტისათვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში კონკრეტული ქმედების აკრძალვის სახით.

6.3. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით /დისციპლინურ საქმეზე №057/10/ დაადგინა: „კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები. თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს.“

6.4. განხილვის კოლეგიის განმარტებით, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების 3.2.10. მუხლი არ არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნას დაცვის უფლების გარანტირებულობის შესახებ და არ ზღუდავს ლ. წ. – ის კანონიერ უფლებას დაცვის უფლების განსახორციელებლად, საკუთარი უფლების დასაცავად მიმართოს სხვა ადვოკატს.

6.5. ასევე, განხილვის კოლეგიის მოსაზრებით, აღნიშნული ხელშეკრულება მხოლოდ ავალდებულებს ლ. წ. - ს სხვა ადვოკატის აყვანის შემთხვევაში აცნობოს ან შეუთანხმოს „... – ს“. (ს.ფ. 11-12) გარდა ამისა, კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმებულია იურიდიულ კომპანიასთან და მას ხელს არ აწერენ ადვოკატები, ხოლზე ადვოკატებზე გაცემულ რწმუნებულებაში სხვა ადვოკატის აყვანის არანაირი საკითხი არ არის მითითებული და კონკრეტულად ნ. გ. - ს მიერ, ლ. წ. – ის ინტერესები სხვა ადვოკატის აყვანასთან დაკავშირებით არ დარღვეულა.

6.6. ადვოკატსა და კლიენტს შორის რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულება კეთილსინდისიერად დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატმა საქმის მიმდინარეობისას უნდა უზრუნველყოს მისი კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.

6.7. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №035/10 განმარტა, რომ „საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა საქართველოს კანონით ადვოკატთა შესახებ (მუხლი - 2,5,6.) არ მოიცავს კლიენტის მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

6.8. განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატის მიერ არ დარღვეულა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, ვინაიდან ნ. გ. – ს, რომელიც არის სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი, არ განუხორციელებია საადვოკატო მომსახურება სისხლის სამართლის მიმართულებით. წარმოდგენილი ხელშეკრულებით დასტურდება, რომ ადვოკატ ნ. გ. – ს ევალებოდა მომსახურების გაწევა მხოლოდ სასამართლოში. ამ შემთხვევაში კი, ბუნებრივია, მხოლოდ სამოქალაქო საქმის ფარგლებში დაიცავდა ლ. წ. – ის ინტერესებს.

6.9. ასევე, არ იკვეთება ადვოკატ ნ. გ. – ს ბრალეულობა საპროცესო კოლეგიის მიერ გამოთქმულ ვარაუდში - კლიენტის საქმის ერთი ადვოკატის მიერ მეორე ადვოკატისათვის საქმის გადაბარების საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებში.

6.10. ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება ემყარება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტურ კომუნიკაციას, რაც ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას საქმის წარმოების პროცესში შეათანხმოს დაცვის სტრატეგია კლიენტთან, მუდმივად მიიღოს კლიენტისაგან დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, გაითვალისწინოს კლიენტის რჩევები და ინტერესები.

6.11. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №074/10, დაადგინა, რომ ,,ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე. ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ.“

6.12. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ არ დადგინდა ადვოკატ ნ. გ. – ს მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე6 ნაწილის დარღვევა. კლიენტმა ადვოკატს მიუტანა სახელწმიფო ბაჟის თანხის ნაწილი, 400 ლარი, მაგრამ ადვოკატმა განუმარტა, რომ ვიდრე სრულად არ იქნებოდა თანხა გადახდილი, სასამართლო სარჩელს წარმოებაში არ მიიღებდა. აღნიშნულით დასტურდება, რომ ადვოკატმა კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია განსახორციელებ საპროცესო მოქმედებასთან დაკავშირებით.

6.13. სარჩელის მომზადების თარიღთან დაკავშირებით, კოლეგია იზიარებს მოსაზრებას, რომ სარჩელი შედგენილია არა 2013 წლის 01 აგვისტოს, არამედ უფრო ადრე, 2013 წლის 11 ივლისისათვის, ვინაიდან კლიენტს ამ დღისათვის უნდა წარმოედგინა სახელწმიფო ბაჟის თანხა და ერთად უნდა შეეტანათ სარჩელი. დადგენილია, რომ 11 ივლისს ლ. წ. – მ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟის მხოლოდ ნაწილი და 11 ივლისს სარჩელი იმიტომ არ იქნა შეტანილი, რომ ბაჟი სრულად არ იქნა გადახდილი. ხოლო რაც შეეხება სარჩელის შევსების დღედ მითითებულ თარიღს, 2013 წლის 01 აგვისტოს, კოლეგია იზიარებს ადვოკატის განმარტებას, რომ სარჩელი იყო ელექტრონული ვერსია და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შეიცვალა.

6.14. ვინაიდან დადგენილია, რომ სარჩელი სასამართლოში არ იქნა წარდგენილი ბაჟის სრული თანხის არქონის გამო და ბაჟს სრული თანხა კლიენტს ჰქონდა მოგვიანებით, სარჩელის შეტანის ვადაც გადაიწევდა და მისი შევსების თარიღის (სასამართლოში წარდგენის) თარიღი გადაიწეოდა.

6.15. განხილვის კოლეგიამ ადვოკატ ნ. გ. – ს ქმედებებში ვერ აღმოაჩინა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების დარღვევა. შესაბამისად, არ არსებობს ადვოკატ ნ. გ. – ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, მე-6 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, მე-20 მუხლით, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №105/13 ადვოკატ ნ. გ. – ს /სიითი №/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს.
3. ადვოკატ ნ. გ. – ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (მის: თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კომისიის წევრი: /გოჩა სვანიძე/

კომისიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/